

№3- 245

05.02.2018

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

2018 წლის 8 იანვრის წერილით გთხოვთ მოგეწოდებინათ სააგენტოს მიერ 2017 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში განხორციელებული კონტროლის შედეგები. 23 იანვარს მივიღეთ პასუხი (წერილი N. 09/400), რომლის მიხედვითაც ჩვენს მიერ მოთხოვნილი მონაცემები სააგენტოს ვებსაიტზე გამოქვეყნდა, ხოლო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის შედეგები გამოგვეზავნა. თუმცა, როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოგზავნილი მონაცემები არასრულია. ამიტომაც ხელახლა მოგმართავთ.

გთხოვთ მოგვაწოდოთ, სააგენტოს მიერ 2017 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში ბიზნესოპერატორების, სურსათის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის შედეგები.

კერძოდ, გთხოვთ მიუთითოთ შემდეგი მონაცემები:

- განხორციელებული კონტროლის მექანიზმი;
- შემოწმებული ბიზნესოპერატორის სახელწოდება და მისამართი;
- შემოწმებული სურსათის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელწოდება, მწარმოებლის სახელწოდება და მისამართი;
- კონტროლისა და, შესაბამის შემთხვევაში, ლაბორატორიული დასკვნის თარიღი;
- კონტროლის შედეგი;
- დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ გატარებული ზომები.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ Microsoft Excel-ის ფორმატში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

